სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 1 22 0000223230

04/03/2022

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის, ბატონ ჯემალ გახოკიძის 2022 წლის 02 მარტის 220317 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის 25 მარტს დაინიშნოს არჩევნები წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

- სამშენებლო ფაკულტეტი - 1 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 1 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი - 1 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 1 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი;

- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 2 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი -2 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი;
- არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად ფაკულტეტიდან აირჩევა აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი (გარდა ასისტენტისა), ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად აირჩევა ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წევრი. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

4. წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) წევრი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

5. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2022 წლის 11 მარტიდან 2022 წლის 18 მარტის ჩათვლით.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.

7. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა და არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის და ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოებმა 2022 წლის 11 მარტამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

11. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ასევე განთავსდეს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.

12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი
გურგენიძე დავით